



Я Е Л О Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მედიცინისა და სპორტის კომიტეტისა და პროლეტარიათის საკრებულოს რედაქციის მიერ

სამუშაო, 18 ნომერი, 1968 წელი № 138 (1308)

გამოცემის მე-15 წელი. ფასი 30 კაპ.

მოსკოვისა და თბილისის ვეტერან ფეხბურთელთა მატჩის დაწყების წინ მოთამაშებმა გამოთქვეს სამახსოვრო სურათის გადაღების სურვილი. ყველა იმ წამს გარს შემოერთა თბილისელთა მიერ სტუმრებისათვის მირთმეულ ცოცხალი ყვავილების კალათს და გადაიღეს ეს სამახსოვრო სურათი.



პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებასა საქავშირო საბჭოში

ამას წინათ დამთავრდა პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს პირველი პლენუმი, რომელმაც მიიღო დადგენილება მუშა-მოსამსახურეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ.

ნ. სოროკინი — სპორტის მოსაზრებელი

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). 16 ნოემბერს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ საკადრაკო კლუბში დამთავრდა საქარაკო მატჩი ოსტატ ს. ფრიდშტეინისა და თბილისელი ოსტატის კანდიდატ ნ. სოროკინს შორის. ორთაბრძოლა დამთავრდა ანგარიშით 7:7. შეჯიბრების პირობების თანახმად ნ. სოროკინს მიენიჭა სპორტის ოსტატის სახელი კადრაკში.

დიდი აღმავლობა

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა სუფევს ამჟამად ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საშობლოს მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის. ისინი დაწმუნებული არიან, რომ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობა მიიღებს ჩვენი ქვეყნისათვის უაღრესად სასიცოცხლო მნიშვნელობის ღონისძიებებს, რომელთაც ცხოვრებაში გატარება კიდევ უფრო მძლავრს გახდის ჩვენს სახელმწიფოს, კიდევ უფრო ბედნიერად იცხოვრებს საბჭოთა ხალხი, რომელიც გაბედულად მიდის წინ, კომუნისმის გამარჯვების გზით.

ახალ-ახალი შრომითი წარმატებები მოიპოვონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ დიდი კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებით ჩვენმა ხალხმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვა და ახლა ჩვენს სოციალისტურ ქვეყანას შესაძლებლობა აქვს შევიდეს თავისი განვითარების ახალ, უმნიშვნელოვანეს პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, რომლის მთავარი ამოცანებია კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უკველმსრივი შექმნა, ჩვენი საშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცება და, ამვე დროს, საბჭოთა ხალხის მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილება. ამ ეტაპზე პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს ისტორიული ამოცანა, რომლის მიზანია დავეწიოთ და გავუწიროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

გვემო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამინისტროთა და უწყებათა, მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა უშუალო მონაწილეობით შედგენილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები, რომლებიც კომუნისტური პარტიის XXI რიგგარეშე ყრილობამ უნდა განიხილოს, ითვისისწინებს უფრო სრულყოფილად გამოვიყენოთ ჩვენს ქვეყანაში არსებული რესურსები და შესაძლებლობანი. ციფრები ეყრდნობიან საბჭოთა კავშირის მწარმოებლური ძალების განვითარების იმ პროგრამას, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა უკანასკნელი 15 წლისათვის და რომელიც ჩამოყალიბებული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1957 წლის 6 ნოემბრის საიუბილეო სესიისაზე.

მეურნეობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების აბსოლუტური მატება ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით. სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკების შემდგომი ყოველმხრივი ეკონომიური და კულტურული აღმავლობა. ამ წლებში საქართველოში შემდგომ განვითარებას პროვებს ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ჩაისა და ციტრუსების წარმოება, მეხაღვრობა და მეპარერეუმეობა, მევენახეობა და მეღვინეობა. სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა შეადგენს 16,8 მილიარდ მანეთს. განმტკიცდება სათბობ-ენერგეტიკული ბაზა, აშენდება დიდი ელექტროსადგური სათბობი გაზის გამოყენებით, აშუშავდება ქვანახშირის ახალი შახტები მანგანუმის მადნის მოპოვებელი ახალი მალაროები, გამამდიდრებელი ფაბრიკები და სხვა.

ამხანაგებო! შრომაში, სწავლასა და სპორტში ახალი წარმატებით შევხვდეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას!

საქართველოს სპორტსმენები და ფიზკულტურული ორგანიზაციები ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად დიდი სიხარულით შეხვდნენ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების ტექსტს და პირობას დებენ კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ ჩვენი საყვარელი საშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის. ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის, ისინი წინასაყრილობო მზადებას მიუძღვნიან მრავალ საინტერესო სპორტულ ღონისძიებას, რომელთა მიზანია იქნება ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის მძლავრი განვითარება.

მუდამ

ჭაბუკი

გულით



ი. გაგუა

ზურგზე ჩანთაგადიდებული ჭაბუკი სირბილით დაეშა წყნეთის გზის მარცხენა მხარეს მდებარე ფრცოლი მინდვრისაკენ და იქ შეკრებილ ახალგაზრდებსაკენ გაემართა. ცოტა ხნის შემდეგ შარავნაზე გამვლენი გაკვირვებით შესცქეროდნენ ახალგაზრდებს, რომლებიც ბურთის მათთვის უცნობი თამაშით ერთობოდნენ, თანაც უცნაური ფეხსაცმელით და მოკლე შარავნებით შემოსილი ბურთს ხან ერთ ხან მეორე მხარეს მიადგორებდნენ.

იმართა მაშინდელ „დენერტირის“ ბაზრის მოედანზე (ამჟამად სტალინის სახელობის საკოლმეურნეო ბაზარი). საუკეთესო სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ინგლისელებმა წაიყვანეს თამაში — 2:1, 3:2, 4:3, 5:4. ამ ანგარიშის შემდეგ ინგლისელთა უბირატესობა დიდხანს არ გაგრძელებულა. გაგუამ ინგლისელთა გუნდის კარში სამი ბურთი გაიტანა.

ამის შემდეგ ქართველი ფეხბურთელები საპასუხო ვიზიტით ესტუმრნენ ბაქოს. განმეორებით შეხვედრაში ინგლისელებთან მათ მეტოქის კარში 3 ბურთი გაიტანეს იქედან ორი ი. გაგუამ, ხოლო ერთი — გ. გაბელიამ.

თბილისში 1914 წლიდან (პირველი მსოფლიო ომის პერიოდში) სპორტული ცხოვრება თითქმის ჩაიკვდა. მხოლოდ 1917 წლიდან გაჩაღდა ისევ ფეხბურთის მატჩები. მაშინ ი. გაგუა თბილისის ნაკრები გუნდის სპორტულ ღირსებას იცავდა. 1921-22 წლებში იგი არმიის გუნდში თამაშობდა, რომლის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი ფეხბურთის გუნდი იყო საბჭოთა საქართველოში.

1929 წელს ი. გაგუამ ფეხის ტრავმა მიიღო და სამუდამოდ ჩამოშორდა ფეხბურთის თამაშს. მაგრამ ჩამოშორდა მხოლოდ თამაშს, ხოლო რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის მან ცოტა რაღი გააკეთა შემდეგაც.

ამჟამად მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ი. გაგუა აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეა, იგი ფეხბურთის საქალაქო საბჭოს წევრია. მას უხარია ქართული ფეხბურთის ყველა წარმატება, ვულს ტყენს ჩვენი ფეხბურთელების მარცხი, მაგრამ ძველ ფეხბურთელს ყოველთვის სწამდა და სწამს საქართველოს ფეხბურთის მომავალი, რომელსაც ამ სამოციოდე წლის წინათ ზაფხუარა საფუძველი.

მ შერაშოვი, ფეხბურთის ვეტერანი.

22 წლის წინათ, 1936 წლის 22 მაისს, მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ლენინგრადის „დინამოს“ 22 ფეხბურთელი ჩაება ბრძოლაში პირველობისათვის. ეს იყო სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი მატჩი.

ყველაზე მეტი შეხვედრა ამ ხნის განმავლობაში მოგუბული აქვს მოსკოვის „დინამოს“ — 277. მოსკოვის „სპარტაკმა“ მოიგო 287 მატჩი, ხოლო არმიელმა ფეხბურთელებმა — 281.

ყველაზე მეტი ფრედ დამთავრებული შეხვედრა აქვს კიევის „დინამოს“ — 134. მეორე ადგილზეა მოსკოვის „ტორპედო“ — 113.

საიუბილეო კვირები

გუშინ რკინიგზელთა მხატვრული აღზრდის სახლში შედგა ფეხბურთის რესპუბლიკური სექციის საიუბილეო პლენუმი მიმდინელი სამამულო ფეხბურთის 60 და თბილისის მსაჯთა კოლეგიის 35 წლისთავისადმი.

მოსვენება თემანზე „სამამულო ფეხბურთის 60 წელი“ წაიკითხა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიუაძემ, რომელმაც ილაპარაკა საბჭოთა და განსაკუთრებით საქართველოს ფეხბურთის განვითარების გზებზე.

თბილისის მსაჯთა კოლეგიის მიერ 35 წლის მანძილზე ჩატარებული მუშაობის შესახებ ილაპარაკა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა კ. კრავჩენკომ.

პლენუმს მიესალმნენ ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტისა და ფეხბურთის საკავშირო სექციის სახელით — ბ. მოშკარინი, ფეხბურთის მოსკოველ ვეტერანთა სახელით — ი. კრიუჩკოვი, ს. რომანენკო (უკრაინა), შ. ორდუხანოვი (აზერბაიჯანი), საქართველოს ალექსანტრალური კომიტეტის სახელით დამსწრეთ მიესალმა თ. ბაღრაშვილი.

გამოქვეყნდა ფიზკულტურის საკავშირო და რესპუბლიკური კომიტეტების ბრძანებები ფეხბურთის მოღვაწეთა სიგელებთან და სამკერდე ნიშნებთან — „სამამულო ფეხბურთის 60 წელი“ დაჯილდოების შესახებ.

ოცივე ჩემპიონატის მსვლელობაში უშედეგოდ — 0:0 დამთავრდა 221 მატჩი. წარმოიდგინეთ, რომ ეს მატჩები მიმდინარეობდა განუწყვეტილად, შესვენებათა გარეშე. მაშინ თითქმის 18 დღეღამის განმავლობაში არ გავიდოდა კარში არც ერთი ბურთი.

20 ჩემპიონატის ჯამში ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს მოსკოვის დინამოელებმა — 1112. მოსკოვის „სპარტაკს“ გატანილი აქვს 962, ცსკ მოს — 899, ხოლო თბილისის „დინამოს“ — 831 გოლი.

ძნელია იმისი განსაზღვრა, თუ რომელი გოლი იყო ყველაზე საინტერესო განვლილ ბრძოლებში, მაგრამ ეჭვი არაა ფეხბურთის ისტორიაში დარჩება მოსკოვის „დინამოს“ ფორვარდის ს. სოლოვიოვის მიერ გატანილი ბურთი ხარკოვის „სპარტაკთან“ მატჩში. ეს იყო 1941 წელს. ს. სოლოვიოვის მიერ დატყუებული ბურთი მოხდა ზადის საყრდენს და უკან გამოვარდა თითქმის მინდვრის ცენტრამდე.

ს. სოლოვიოვის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე რამდენიმე საინტერესო ფაქტი. 1948 წლის ჩემპიონატში მან 75 წამის განმავლობაში 3 ბურთი გაიტანა მოსკოვის „ტორპედოს“ კარში, ხოლო მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივთან“ იმავე წელს, დაწყებითი დარტყმიდან მიიღო ბურთი, გვიდა მოპირდაპირე კართან ისე, რომ ვერც ერთი მოწინააღმდეგე ვერ შეეხო ბურთს და გახსნა ანგარიში.

თავისებური „რეკორდი“ აქვს დამყარებული მოსკოვის „ლოკომოტივს“. 1955 წლის ჩემპიონატში ზედნივად 140 მატჩის განმავლობაში რკინიგზელებმა მოწინააღმდეგეთა კარში ვერ გაიტანეს ვერც ერთი ბურთი.

შესანიშნავ თავდამსხმელს ა. პონომაროვს („ტორპედო“, მოსკოვი) ეკუთვნის აბსოლუტური რეკორდი გოლების გატანაში. 11 ჩემპიონატში მან მოწინააღმდეგეთა კარში გაგზავნა 148 ბურთი. სპარტაკელ ნ. სიმონიანს ჭრჭერობით გატანილი აქვს 140 გოლი.

წლებანდელი, საიუბილეო გათამაშება დაიწყო 28 მარტს და გაგრძელდა 231 დღე. ასე ადრე გათამაშება ჯერ არ დაწყებულა.

ჩემპიონის ოქროს მედლებს მეოთხედ დუბლდობენ სპარტაკელები ი. ნეტო, ა. პარამონოვი, ნ. სიმონიანი და ა. ილინი, მესამედ — ს. სალნიკოვი და ი. სედოვი.

წელს ჩატარდა ჩემპიონატის 182 მატჩი. სულ ამ შეხვედრებში გატანილი იქნა 441 გოლი (გასულ წელს გატანილი ბურთების რაოდენობა უდრიდა 371-ს, ხოლო 1956 წელს—456-ს), დამახასიათებელია, რომ თავდამსხმელებს ბურთების ყველაზე მეტი რაოდენობა გააქვთ შუა ზაფხულში. გაზაფხულზე და შემოდგომით ეს მაჩვენებელი ნაკლებია.

ჩემპიონატის ყველაზე დიდი ანგარიში ფიქსირებულ იქნა მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და კიშინიოვის „მოლოდოვას“ შეხვედრაში. მატჩი მოიგო „ლოკომოტივმა“ — 3:1.

XX ჩემპიონატის პირველი გოლი გაიტანა მოსკოვის „დინამოს“ ნახევარმცველმა ვ. ცარეშვამ, ხოლო უკანასკნელი — მოსკოვის „სპარტაკის“ თავდამსხმელმა ს. სალნიკოვმა.

მოსკოვის დინამოელებმა მეორე წრეში 10 თამაში მოიგეს და 1 დამთავრეს ფრედ. გათამაშების ასეთი ბრწყინვალე დასასრული დღი იზვიათობას წარმოადგენს. ანალოგიური ფინში ჰქონდათ დედაქალაქის არმიელებს 1947 წელს.

სრულიად საწინააღმდეგო მაჩვენებლები აქვს ლენინგრადის „აღმირალტეცს“. ლენინგრადელებმა მეორე წრეში წააგეს თერთმეტვე შეხვედრა. სულ 22 მატჩიდან წააგო 19. ეს ციფრები ჭრჭერობით რეკორდია.

მარცხენა გარემარები

— იღბალი აქვს! ამის ჯერ კიდევ ფოთელი ბიჭები ამბობდნენ, როცა სადმე ქალაქგარეთ ჩატარებული მორიგი „მატჩის“ შემდეგ დადილინი დასხდებოდნენ, დათვლიდნენ გატანილ გოლებს და აღმოაჩენდნენ, რომ ბურთების მეტი წილი ისევ ასლან ხარბედიას ჰქონდა გატანილი.

ჩვენდ მართლაც იღბალი ჰქონდა ასლანს? რაც არ უნდა თავსატეხი მომენტი ყოფილიყო კართან, იგი როგორღაც სულ მარტო აღმოჩნდებოდა ხოლმე, ბურთიც მაშინვე მასთან მიგორდებოდა და საუბრე გათავებული იყო: ასლანს უცნაური დარტყმა ჰქონდა. ვერც ურთი მეკარე ვერ მიუხვედებოდა განზრახვას, ვერ გაიგებდა მის მოძრაობას და ასეთ დროს ყოყმანი მეკარისათვის დამლუბველია.

მაგრამ რამდენჯერ შეიძლება მოთამაშეს იღბალი მოუვიდეს? სიჭაბუკეში ფოთის გუნდებში, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივში, დაბოლოს, თბილისის „დინამოს“ ოსტატებში, ყოველთვის ასე იყო — მეკარე, ბურთი და ჭარბედია.


ბუკეში ფოთის გუნდებში, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივში, დაბოლოს, თბილისის „დინამოს“ ოსტატებში, ყოველთვის ასე იყო — მეკარე, ბურთი და ჭარბედია.

რა თქმა უნდა, იღბალზე ლაპარაკი აქ ზედმეტია. თბილისის „დინამოს“ უცვლელ მარცხენა გარემარებს ჰქონდა უაღრესად მხვილი, არაჩვეულებრივი „საფეხბურთო“ ყნოსვა და კომბინაციის დასყენი ფაზის გაგების შეუდარებელი ალღო.

ოსტატთა მატჩებში ყველაფერს წინასწარ ვერაულობენ, გეგმვენ და ითვლისწინებენ. ყოველმა გუნდმა იცოდა, რომ ა. ხარბედიას დატოვება მინდობრზე უმეფავალუბროდ წამათაც არ შეიძლებოდა და ამიტომ მარჯვენა მცველებს ყოველთვის კატეგორიული მითითება ეძლეოდათ თბილისელთა მარცხენა გარემარების მქედროდ დაჭერის შესახებ.

მაგრამ დაიწყებოდა მატჩი და მოწინააღმდეგის გეგმებიდან არ რჩებოდა ნატამალიც კი. ბორის პაიჭაძე იწყებდა თავის განთქმულ „სტირალს“ მარცხენა ფლანგზე, ასლან ხარბედია ცენტრისკენ ინაცვლებდა, დანარჩენებიც იცვლიდნენ ადგილებს და მცველი კარგადაა ყოველგვარ ორიენტაციას. თუ სად ამოჰყოფდა თავს ხარბედია შეტყვის დასასრულს, ეს მხოლოდ ჯეით ჭარბედიაში და მისი პარტნიორების სიდიულეობა იყო. ვინ მოთვლის რამდენი გოლი, გადამწყვეტი და საბოლოო გოლი გატანა ა. ხარბედიას მოწინააღმდეგეთა კარში და მოუტანია გამარჯვება თავისი გუნდისათვის.

...თამაშის წლებში განვლილი, ა. ხარბედიამ წარმატებით დამთავრა სწავლა უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. ასლა იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდინარე დირექტორის მოადგილეა და ჩვეული



ა. ხარბედია
ერთგულებით ასრულებს თავის სამსახურებრივ მოვალეობას.
მაგრამ ფეხბურთი ა. ხარბედიასათვის მაინც ყველაზე ახლობელი დორჩა. ფეხბურთთან აკავშირებს მის წარსულ ბრძოლათა მონაწილე მებრძობთან სიახლოვე, ქართული ფეხბურთის დიდი წარსული და საიმედო მომავალი.



ობდა უდრესად საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონობისა და თაისის ძირითად კანდიდატებს — მოსკოველებს ერთ დროს მთავარ მოწინააღმდეგედ მხოლოდ თბილისელები ჰყავდათ და ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იცოდნენ: თუ თამაშობდნენ მოსკოვისა და თბილისის გუნდები, ეს იყო ნამდვილი დიდი ფეხბურთი.

მაგრამ მუდმივი მოწინააღმდეგეები საფეხბურთო მინდორზე ყოველთვის მეგობრები იყვნენ ცხოვრებაში. ამიტომ იყო, რომ თბილისის „დინამოს“ სტადიონის ხალხით სავსე ტრიბუნებზე ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ ძველ მეტოქეებს, როცა ისინი ერთმანეთის პირისპირ მოეწყვიტნენ მინდვრის ცენტრში. ამიტომ იყო ასეთი თბი-

ლი წუთები, როცა მასპინძლებმა სტუმრებს გადასცეს თავიგულები, ყვავილებითა და ხილით მორთული ვეება კალათი, ხოლო მოსკოველებმა მათ სამკერდე ნიშნები უძღვნეს.

დაიწყო მატჩი. მოსკოველები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ხომიჩი; სოლომატინი, ლ. სოლოვიოვი, ნაზაროვი; რისცოვი, ბაშაშინი; გრინინი, ტერენტევი, სავდუნინი, ბაიკოვი, ს. სოლოვიოვი. თბილისის გუნდში იყვნენ: პირაიკვი; რუსაძე, ძიამაშია, სარჯველაძე; ანთაძე, მახარაძე; ა. პაიჭაძე, ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, ზაზროშვილი, სიხარულიძე. შემდგომში რისცოვი შეცვალა ნ. დემენტიევი, ხოლო ბერძენიშვილის ნაცვლად მინდორზე გამოვიდნენ გამყრელიძე, ქუთასელი და ჯოჯუა.

ბევრი რამ გაეცხენეთ ამ დღეს მაყურებლებმა. გაეცხენეთ მ. ბერძენიშვილის კომბინაციური ტალანტი, გაეცხენეთ გ. ანთაძის დაუღალავი, ენერგიული თამაში, სარჯველაძის გაბედული შებრძოლება მეტოქესთან..

და რაც მთავარია, გაეცხენეთ ბ. პაიჭაძის დრიბლინგი, მისი სწრაფი გარღვევები (რა თქმა უნდა, ეს სისწრაფე შედარებითაა)

და ზუსტი დარტყმები. განვილოთ მატჩის რამდენიმე მომენტში თბილისელთა ცენტრალური თავდასხმელი ნამდვილი ძველი ბოლის პაიჭაძე იყო.

მოსკოველებმა მატჩში მთელი ნააღმდეგეზე აშკარად უკეთესი შედეგები მიაღწიეს. მატჩის ისევე, როგორც გასულ წლებში, სანიმუშო იყო მათი ურთიერთობა, გვეგმიანი, გააზრებული, გაშლილი თამაში და ენერჯია. ყოველმა მხარეანმა დიდი ფიზიკური დატვირთვა იკისრა და ბოლომდე გაუძლო მას. გუნდი ერთიანი და მონოლითური იყო ყველა ხაზში.

გულახდილად უნდა ითქვას — ჩვენ შეტს მოველოდით თბილისელებისაგან. დასანანი იყო ელემენტარული შეცდომების შედეგად გაშვებული გოლები და არაზუსტი გადაცემები ბურთის გათამაშებისას.

ანგარიში გახსნა საედუნისა შორი მანძილიდან დარტყმით. მალე ბ. პაიჭაძე გაიჭრა მარცხენა ფრთაზე, მიაწოდა კართან და სანამ ბურთს მიიღებდა ზაზროშვილი, მას მიუსწრო რისცოვმა და... საკუთარ კარში გაგზავნა იგი — 1:1.

შემდგომში ტერენტევი და გრინინმა კიდევ ოთხი ბურთი გაიტანეს, ხოლო თბილისელებმა ვერაფერი მოახერხეს ამის საპასუხოდ.

ანგარიშით 5:1 გაიმარჯვეს მოსკოვის ვეტერანებმა.

სურათები: ზევით, წრეში — მსაჯი ნ. ჩხატარაშვილი მინდორზე უხმობს გუნდებს. შუაში — თბილისელი ფეხბურთელები ამოდიან გვირაბიდან. წინა პლანზე — გ. ანთაძე და ბ. პაიჭაძე. ქვევით — გოლი მოსკოველთა კარში.

ფოტო მ. ზარგარაინისა.

უძლიერების სახელისათვის

გასული შაბათი რესპუბლიკის ფრენბურთელთა ჩემპიონატის (ფინალის) მესამე ტური იყო. ამ დღეს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების ვაჟთა გუნდების შეხვედრა. უნდა ითქვას, რომ ეს მატჩი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელებმა ჩაატარეს მონდომებით და ენერჯიულად. ძნელია ამ თამაშიდან საუკეთესო სპორტსმენის გამოყოფა, მაგრამ ვიტყვი, რომ სხვებზე უკეთესი შთაბეჭდილება დატოვეს ზ. ვრანიაძე და ვ. კუჭავამ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელებმა დაჯანს თავიანთი მოწინააღმდეგეები ყველა ხაზში და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს ანგარიშით 3:0 (16:14, 15:13, 15:9). ამ გამარჯვებამ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელებს პირველ ადგილზე გასვლის შანსი გაუზარადა.

ბოლოსდაბოლოს გაიმარჯვეს სტუდენტებმა — 19:17.

მეოთხე ტურში საინტერესოდ ჩატარდა „განთიადის“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა კოლექტივების შეხვედრა. სტუდენტებმა წააგეს პირველი პარტია — 12:15, მაგრამ შემდგომში გააქტიურდნენ და ზედნივდ მოიგეს ორი პარტია — 15:10 და 15:11. დარჩენილ პარტიებში განთიადელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, გასტეხეს სტუდენტთა წინააღმდეგობა და მიადწიეს საბოლოო გამარჯვებას (15:4, 15:5).

მორიგი გამარჯვება მოიპოვეს ამ დღეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალებმაც. ამჯერად მათ დაამარცხეს გორის ფრენბურთელები — 3:0.

ვაჟთა ფინალურ ჯგუფში ჯერჯერობით წაუგებლად იბრძვის ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი. სასოფლო-სამეურნეო და პოლიტექნიკური ინსტიტუტების გუნდებს აქვთ თითო წაგება. პირველი ადგილისათვის ბრძოლაში გადაწყვეტი შიშველობა ექნება ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფრენბურთელთა შეხვედრას. ამასთან, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად მხოლოდ გამარჯვება უჭირდება. დამარცხების შემთხვევაში წინ გადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი.

მოგვყავს დანარჩენი თამაშების ტექნიკური შედეგები: ვაჟები: ფიზკულტურის ინსტიტუტი-თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი — 3:0, აფხაზეთი-რუსთავი — 3:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი-აფხაზეთი — 3:1, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი-რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი — 3:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი-რუსთავი — 3:0. ქალები: ფიზკულტურის ინსტიტუტი-აფხაზეთი — 3:2, უნივერსიტეტი-გორი — 3:0, „განთიადი“-აფხაზეთი — 3:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი-გორი — 3:0.

ლ. თაყაიშვილი



გვერის ჩამორჩენილი კოლექტივი

„განთიადის“ აჭარის საოლქო საბჭოს ფიზკულტურელებმა მიმდინარე წელს საგრძნობი მუშაობა ჩაატარეს. მიუწყო შიდასკოლექტივო სპარტაკიადები, ხშირად იმართებოდა სამატჩო შეხვედრები მეზობელ კოლექტივებთან რამაც განაპირობა ის, რომ აქ გადაქარბებით იქნა შესრულებული მშთ ნიშნოსანთა მომზადების გეგმა. 830 ნიშნოსის ნაცვლად დღე-

ისათვის საოლქო საბჭოს მომზადებული ჰყავს 838 ვაცი, გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე თანრიგოსანთა მომზადების გეგმები სპორტის მთელ რიგ სახეობებში. მაგალითად, საბაიდარო ნიხბოსნობაში 5 თანრიგოსნის ნაცვლად მომზადებულია 10, ხოლო საილქო სპორტში 55-მა ფიზკულტურელმა შესრულა სათანრიგოსნობა მატჩი (გეგმა ითვალისწინებდა

32-ს) ნიშნოსებისა და თანრიგოსნების მომზადების საქმეში განსაკუთრებით გამოჩინეს თავი სამკერვალო და ფეხსაცმლის ფაბრიკების, მომთუთავებელი, მექანიკურ-სამსხმელო და ლუდის ქარხნების, აჭარის მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკური საავადმყოფოსი და სხვა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

მაგრამ ოლქში არის ჩამორჩენილი ფიზკულტურული კოლექტივებიც. კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების დახმარებას მოკლებული ფიზკულტურის კოლექტივების საბჭოები არ ზრუნავენ მასობრივ-სპორტული მუშაობის განვითარებისათვის. ნიშნოსებისა და თანრიგოსნების მომზადების საქმეში ჩამორჩებიან კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების, პურის კომბინატის, ტყავისა და ღვინის ქარხნების, კვშირგამამულობის აჭარის კანტორის კოლექტივები, ამის გამო საოლქო საბჭოს გარღვევები აქვს თანრიგოსნობა მომზადების საქმეში კლასიკურ და თავისუფალ ქადაობაში, კრიკსა და ფეხბურთში. აჭარის კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობას, რათა აქედნა სპორტსმენებმა წარმატებით დაიციან აჭარის სპორტული სახელი რესპუბლიკის მომავალ სპარტაკიადზე.

ს. რახტი

სპორტული ქრონიკა

წულუკიძე. აქ გაიმართა საქალაქო პირველობა ქართულ ჰიდაობაში.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გამოვიდნენ: გ. კეთილაძე, ბ. კვაბაძე, ე. ზარიძე, ვ. ფირცხალავა, ხ. მოსულიშვილი, მ. დანელიშვილი, მ.

ჩომბიძე (მძიმე წონაში პირველობა არ გათამაშებულა).

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკუმის სპორტსმენები.

ბ. შუშარაძე

ქუთაისი. დამთავრდა საქალაქო პირველობა ფრენბურთში, რომელშიც ვაჟთა 8 და ქალთა 7 კოლექტივი მონაწილეობდა.

ვაჟთა შორის პირველი ადგილი დასაკუთრა სასოფლო-სამეურნეო

ინსტიტუტის გუნდმა, ხოლო ქალთა შორის — სპორტსკოლის ფრენბურთელთა კოლექტივმა.

რ. მებრძოლიშვილი


ტყაბული. ჩატარდა საქალაქო პირველობა კალათბურთში, შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქალაქის 9 ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი.


პირველი ადგილი დაიკავეს სტალინის სახელობის შახტის კალათბურთელებმა.

ნ. ზინჯიხაძე

ქუთაისი. ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სარაიონო პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. ვაჟთა გუნდებს შორის (შეჯიბრება ტარდებოდა ცალკე ვაჟთა გუნდებისათვის და ცალკე ქალთა კოლექტივებისათვის) პირველი ადგილი დაიკავეს კვახიჩის საშუალო სკოლის მძლეოსნებმა. ქალთა შორის უძლიერესი გამოდგა გეგუთის საშუალო სკოლის მძლეოსანთა გუნდი.

ჯ. უკლაბა





ლენინგრადი. სათხილამურო ფაბრიკაში „ზნამია“ ახალი ტექნოლოგიით ათვისებული საბრენი თხილამურები — „ლენინგრადა“, რომლის დამზადებისათვის იყენებენ მაგარი ხისა და პლასტმასის ზოგადი სახეს. 1958 წლის ნოემბერ-დეკემბერში დამზადებული იქნება ასეთი თხილამურების 6.000 წყვილი. სულ წლის ბოლომდე ფაბრიკა გამოუშვებს 100.000-ზე მეტ წყვილ სხვადასხვა სახის თხილამურს.

ს უ რ ა თ ე ე: გამარიალებელი მ. კოვანოვა სარბენი თხილამურების „ლენინგრადის“ დახარისხების დროს.

ფოტო ე. სილიანსი.

უკანასკნელმა პერიოდის შედეგი

ქართულ კიდეობას კარგი ტრადიცია ჰქონდა ზესტაფონის რაიონში, მუშაობდნენ სექციები, ტარდებოდა შეჯიბრებები. აქაური სპორტსმენები არა ერთხელ გამოსულან წარმატებით რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე. ამჟამად ზესტაფონის რაიონში კიდეობის არც ერთი სექცია არ მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ აქ სპორტის ამ სახეობის მრავალი მოყვარულია. ფიზულტურის რაიონული კომიტეტი, „კომლეთრისა“ და „განთიადის“ რაიონები არ ზრუნვენ მისი განვითარებისათვის.

ს. ტალახაძე

ქალაქ ლიბციგში დამთავრდა კრივის მოყვარულთა საერთაშორისო ასოციაციის (აიბა) საგანგებო და IV მორიგი კონგრესი, რომლის დღის წესრიგის ძირითადი საკითხი იყო საერთაშორისო ასოციაციის წესდებისა და მსაჯობის წესების შეცვლა.

კონგრესმა მიიღო შემდგომი გადაწყვეტილებები: თუ გასულ წლებში ყოველ ეროვნულ ფედერაციას შეემლო ეთხოვა ასოციაციას აღმასკომისათვის მიენიჭებინა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება რაოდენობის განუსაზღვრებლად, ამჟამად ეს წოდება მიენიჭება ყოველი ქვეყნის წარმომადგენელს, სპეციალურ კომისიას გამოცდების ჩაბარების შემდეგ. მსაჯობის წესებში შეტანილ იქნა ასეთი ცვლილება: ქულებს დაითვის 5 გვერდითი მსაჯი, რომლებიც იზოლირებულ იქნებიან ერთმანეთისაგან. სამსაჯო ჩანაწერს რიგის მსაჯი არ აწარმოებს.

კონგრესმა გადაწყვიტა ერთი წლის განმავლობაში შეიცვალოს ამჟამად არსებული ხელთაშინის წონა 8 უნციამდე. სამედიცინო კომისიამ განსაზღვრულად წამოაკონა საკითხი ფინეთში არსებული ახალი პნევმატური ხელთაშინის დანერგვის შესახებ. კონგრესმა გადაწყვიტა ერთი წლის მანძილზე შესწავლილ იქნას ეს ხელთაშინი პრაქტიკულად. ამ საკითხს მხარი დაუჭირა 23-მა ქვეყანამ, მათ შორის სსრ კავშირმა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონის მახლობლად ქალაქ ლოურელში ყოველწლიურად იმართება დიდი მსოფლიოში საუკეთესო წმინდასისხლიანი ცხენების მონაწილეობით 1,5 მილზე.

წლევანდელ შეჯიბრებაში, რომელიც ჩატარდა ლოურელის იპოდრომზე 40 ათასი მაყურებლის თანდასწრებით, მონაწილეობდნენ ინგლისის, ავსტრალიის, ირლანდიის, არგენტინის, შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის, ფედერალური რესპუბლიკის, ვენესუელისა და საბჭოთა კავშირის უძლიერესი სპორტსმენები.

ჯილდო 70.000 დოლარი

ჩვენი ქვეყანა დიდი წარმატებით იყო ორი სპორტსმენით — ვ. კოვალიოვი (ცხენი „ზარია“) და ნ. ნასიბოვი (ცხენი „გარნირი“). „ზარიადმა“ სტარტი უკეთესა ავსტრალიური წარმომავლის ცხენს „სელიორს ჰაიდს“ (მხედარი გრანტი). გამარჯვებულს გადაეცა შეჯიბრების მთავარი ჯილდო — 70 ათასი დოლარი.

ფინიშთან პირველი იყო ამერიკული ცხენი „ტიულორ ირა“, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ იგი მოხსნა შეჯიბრებიდან წესების დარღვევისათვის. პირველი ადგილი მიუკუთვნა ავსტრალიური წარმომავლის ცხენს „სელიორს ჰაიდს“ (მხედარი გრანტი). გამარჯვებულს გადაეცა შეჯიბრების მთავარი ჯილდო — 70 ათასი დოლარი.

სხვადასხვა

შემათხვევა
„ატლანტიკური პორტუგალია“ (ბრაზილია) ცენტრალური თავდასხმული ცენტრი უკანასკნელ თამაშებში ცუდად გამოდიოდა. სპორტსაზოგადოების პირველმა თავმჯდომარემ სერველოზმა, რომელიც პროფესიით პოლიციელი იყო, მოინდომა მიზნის გაგება. ბევრი ცდის შემდეგ, როგორც იქნა, შეიტყო, რომ პირველი კვირამ რამდენიმეჯერ ქალაქგარეთ პავიანზე ხედება ვიღაც ქალს. სერველოზმა გადაწყვიტა ადგილზე მოესხო ეს „ბოროტმოქმედება“ და კარგი მოთამაშე კვლავ ფორმაში ჩაეყენებინა.

ერთ დღეს სერველოზი შეინიღბა წვერულგაშითა და მუქი სათვალეებით და პირველს შეუმჩნევლად გაყვა ქალაქგარეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, მას შემდეგ ფეხბურთელი მოედანზე აღარ გამოჩენილა. საქმე იმაშია, რომ სერველოზმა ცენტრალური თავდასხმული პავიანის ადგილზე ისე მაგრაღ სცემა, რომ დაზარალებული პირდაპირ საავადმყოფოში წაიყვანეს.

„ი. ვილაცა ქალი“ სერველოზის მეუღლე გამოგდა.

სათანადო სასჯელი

პოლანდიაში ცხოვრობენ ტყუპი ძმები ვიმი და კარლ გუტერები, რომლებიც გაჭირვით ვაშლით ჰკვანან ერთმანეთს. მობდა ისე, რომ ორივე ძმა ერთდროულად გაიწვიეს სამხედრო სამსახურში და ორივე ერთ ქვეგანაყოფში მოხვდა. ვიმმა პირველმა მიიღო შევებულება, მაგრამ ვინაიდან კარლი შეყვარებული იყო და დღედღე ითვლიდა სატრფოსთან შეხვედრის საათს, ვიმმა თავისი შევებულება მას დაუთმო. ამ ამბავს ვერაფერს ვერ ვხედავთ, რომ ქვეგანაყოფის ხელმძღვანელმა მატჩი არ ჩაეტარებინა კალათბურთში. კარლი შესანიშნავად თამაშობდა კალათბურთს, ვიმს კი წარმოადგინა არ ჰქონდა მასზე, როგორც კი ამ უკანასკნელმა პირველივე წუთებში ზედხედ დაპარა ბურთები, ყველასათვის ნათელი გახდა ძმების ეშმაკობა. ორივე ძმა სამხედრო დისციპლინის დარღვევისათვის სათანადოდ დასაჯეს.

რედაქტორი ი. შუშუაძე.

ვინ იტყვებს ხარკოვში?

20 ნოემბერს ხარკოვში დაიწყება საბჭოთა კავშირის XX პირველობა. ქალაქში ქალთა შორის, ტურნირში, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს, სხვა გამოჩენილ საბჭოთა მოჭადრაკეებთან ერთად ჩემპიონის საპატიო სახელისათვის იბრძოლებენ საქართველოს ჩემპიონი მ. ტოგონიძე, აჭარის ჩემპიონი ა. ჩიკოვსკია, ე. კავაბაძე და ნ. ვაფინდაშვილი. რასაკვირველია, ჩვენი რესპუბლიკის სპორტის მოყვარულებს აინტერესებთ რა შემაღვენლობისა აღნიშნული ტურნირი, ვინ იქნება საქართველოს წარუგებელი მეტოქეები.

ტურნირში მონაწილეობს ითამაშოს. 22-მა მოჭადრაკემ (ნახევარფინალებში გამარჯვებული 16 და პერსონალურად მოწვეული 6 ოსტატი). ესენია მსოფლიო ჩემპიონი ე. ბიკოვა, ოსტატები თ. რუბცოვა, კ. ზვორიკინა, ვ. ბორისენკო და სხვები, რომლებიც არაერთხელ ყოფილან ჩვენი ქვეყნის ჩემპიონები.

ხანგულსკელ ნ. ტომოფეევს, კიშინიოველ ბ. გოიპენბერგს, მოსკოველ ა. კუშნირს, ოდესელ ლ. ნისენბოიმს. ლ. იაკირის გარდა ბაქოელი ტ. ზატულოვსკია, სერალოვსკელი ტ. ფილანოვსკია, მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. ტიხომიროვა, მოსკოველი თ. სტრანდსტრემი მეტად ძლიერი ძალაა.

გამოცდილი პირველთაშორისები ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ ლიდერობისათვის ბრძოლაში. ტ. ზატულოვსკია ყველაზე ახალგაზრდაა მათ შორის. იგი ბაქოსა და აზერბაიჯანის უცვლელი ჩემპიონია, ზოგჯერ ვაქების პირველობებშიც კი თამაშობს და წარმატებითაც. ქალთა საკავშირო პირველობაში იგი ყოველთვის ექვსეულში ხვდება.

ვ. ტიხომიროვა და ტ. ფილანოვსკია ბევრჯერ ყოფილან რუსეთის ფედერაციის ჩემპიონები. თ. სტრანდსტრემი 9-ჯერ მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის პირველობაში. უკვე ეს ფაქტი ლაპარაკობს მის გამოცდილებაზე, თუმცა ნ. ვაფინდაშვილმა ბათუმის ნახევარფინალში მას ბრწყინვალე სტილში მოუგო და გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის“ სპეციალური პრიზიცი მიიღო ლამაზი თამაშისათვის.

მრავალი მოულოდნელობის მოტანა შეუძლიათ ახალგაზრდებს. ნ. ვაფინდაშვილის გარდა ტურნირში 17 წლის ასაკისა იქნებიან მოსკოვის ჩემპიონი ა. კუშნირი და ბ. გოიპენბერგი, რომელთა პირველმა გამოხვედრამ საერთო ყურადღება მიიქცია. ა. კუშნირი „ქილებამდე“ შეიარაღებული მოსკოველი გამოცდილი მწვრთნელების მიერ, მაგრამ ბ. გოიპენბერგს ადრე საკავშირო პირველობებზე არ მიუღია მონაწილეობა, ამიტომ მისი თამაში ნაკლებად ცნობილი. ოდესის ჩემპიონი ლ. ნისენბოიმი 24 წლისა, იგი უკანონის პირველობათა მონაწილეა, მაგრამ საკავშირო პირველობაში პირველად თამაშობს. პირველად ვინიღვთ ფინალში ნ. ტომოფეევსაც, სხვათა შორის, ეს უდავოდ მზარდი მოჭადრაკე ცნობილი გახდა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე გოგონების პირველი პირველობის შემდეგ, სადაც მან მეორე ადგილი (პირველი მ. ტოგონიძემ) დაიკავა.

ტურნირის ასეთი შემაღვენლობა მონაწილეს ხდის მძაფრ ბრძოლას. თუ რას იზამენ ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეები, ამას მომავალი გვეტყვის. ჩვენის აზრით, მათ შეუძლიათ ტურნირის სასახელოდ დამთავრება.

თ. პიორბაძე

პრივის საერთაშორისო ასოციაციის კონგრესზე

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ამბავი, რომ ასოციაციის საპატიო პრეზიდენტმა ინგლისელმა ჩანდლიმ, რომელმაც ერთ დროს შექმნა ფედერაცია და ამჟამად მოხუცებულობის გამო ჩამოშორდა მის საქმიანობას, განაცხადა, რომ საინვარიზო პერიოდის განმავლობაში აღმასკომი ბოროტად იყენებდა თავის უფლებებს. ამით განაწყენებულმა აიბას პრეზიდენტმა ბ-ნმა გრემომ საკითხი დააყენა აღმასკომის ნდობის შესახებ, რის წინააღმდეგ ხმა მისცა მხოლოდ ინგლისის დელეგატმა. ისლანდიის წარმომადგენელმა თავი შეიკავა.

ფართული ენჭისურის შემდეგ აიბას ვიცე-პრეზიდენტებად არჩეულ არიან: ბარაკი (აშშ), ნიკიფოროვ-დენისოვი (სსრ კავშირი), ლი-სოვსკი (პოლონეთი) და პოდესტა (იტალია). ასოციაციის პრეზიდენტი ფრანგი გრემო და გენერალური მდივანი ინგლისელი რასელი გადაარჩეულ იქნენ თავიანთი პოსტებიდან.

ნამდვილად პაქაქი

1948 წელს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ჩემპიონის სახელი ათქვამს მოიპოვა 17 წლის ამერიკელი სპორტსმენმა რობერტ მატისმა. მან გადაწყვიტა, რომ ასეთი გამარჯვების შემდეგ იგი ნამდვილად ვაქაცია და... პირველად გაიპარა წვერი.

20-25 ნოემბერი

საქართველოს 1958 წლის პირველობა მონაწილეობა:

თბილისის „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისისა და სხვა გუნდები.

მატჩები ჩატარდება 3. ი. ლენინის სახელობის დარბაზში

დასაწყისი 12 ს.

18 ნოემბერი

ამხანაგური შეხვედრა საქართველოსა და უზბეკეთის ნაკრებ გუნდებს შორის

შეჯიბრება ჩატარდება სახელმწიფო ცირკის შენობაში

შეჯიბრების მთავარი მსაჯია თ. ფურცელაძე

